

„დროების“ რედაქცია — სიმონოზის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, გარეკე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисѣ, въ Редакцію „Дროება“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით — 8 მ.; 9 თვით — 7 მ. 50 კ.; 8 თვით — 7 მ.; 7 თვით — 6 მ. 6 თვით — 5 მ.; 5 თვით — 4 მ. 50 კ.; 4 თვით — 4 მ.; 3 თვ. — 3 მ.; 2 თვ. — 2 მ.; 1 თ. — 1 მ.

# დროება

ბამონის ყოველ-ღეი ორშაბათს ბარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რა თანა, განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებში. თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბუჯდად გამოგზავნილ წერილებს დაუბუჯდელ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს. „Объявления изъ Россіи, Царства Польскаго и заграницы принимаются только въ цент. конторѣ объявл. А. Метцль, Мосева, Петрова, № 6. ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპეიკი.

## „დროების“ ფასი სექტემბრის 1-დამ წლის დასრულებამდე შაბათი.

თბილისი, სექტემბრის 29-ს.

ხშირად გავგონებთ ჩვენში ჩივილი განათლებულ პირთა ნაკლებულობაზედ, უმაღლეს სწავლა მიღებულითა სიცოცხლეზედ. — ესამი-ოთხი მაღალ სწავლა-მიღებული აბა რას გააკეთებს ან სკოლაში ან ცხოვრებაში და ლიტერატურაში? ამბობენ ხოლმე ამ გვარი მომხივარნი და მომტირანნი...

და მართლაც, არა უკანასკნელ ზომად ერის გონებრივისა და ზნეობრივი — ნივთიერის მდგომარეობისათვის შეიძლება მივიღოთ განვითარებულთა პირთა, უმაღლეს სწავლა-მიღებულთა რიცხვი, ესე იგი იმ ნასწავლთა და გაწრთნილთა რიცხვი, რომელნიც მოღვაწეობდნენ დატრიალებულნი ჩვენში სხვა-და-სხვა კუთხეებში.

მაგრამ, სამწუხაროდ, ამ გვარი ზომა, რომ მივიღოთ და მის მიხედულობით შევადგინოთ ჩვენი აზრი ქვეყნის მდგომარეობაზე, ძალიან შევცდებით.

შველგან, საცა კი სწავლასა და აღზრდას საგნად აქვს მომზადება მომავალ მო-

ღვაწეთა, მომავალ ცხოვრების მომქმედთა, იქ თვით ეს საქმეც ცოტად თუ ბევრად შესაფერად არის მომართული. ჩვენი ახალ-მოზარდნი კი ერთს დიდს ნაკლსა გრძობენ სწავლის გათავების შემდეგ, აღზრდაზედ აქ აღარას ვამბობთ. მს ნაკლი მდგომარეობს სრულს მათ უმეტრებაში თავის ქვეყნის შესწავლისა და ცოდნის მხრივ, მტკნარ უვიცობაში თავის ქვეყნის, როგორც ისტორიისა, ისე ლიტერატურისა.

მს გარემოება, სამწუხაროდ, უკანსდევდა ჩვენ მოზარდთაობას. ამისათვის ეს უკანასკნელი თუმცა იღებდა უმაღლეს სწავლას, გინდ საშუალოსაც, თუმცა მოამბობდა თავის განვითარებისათვის, თავის ზნეობრივი და გონებრივი ბუნების შემუშავებისათვის, მაგრამ მაინც ამ მუშაობიდან დასასრულ არა გამოდიოდა. რა ან კი რა უნდა მოეხერხებინა, როდესაც მას სრულიად ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონდა, თავის ქვეყნის ეტნოგრაფიაზედ, გეოგრაფიაზედ, ისტორიისა და ლიტერატურაზედ...

გზი, სადაც თეთრ მარილსავით მიწაზედ ეყარა; და გოგირდი-კი წინაღვე ჰქონდათ დამზადებული. იქვე სწავლენ არყის ხესაც და ამ გვარად ამბადებდენ თოფის წამალსა.

მონხვენი ამბარებდენ აგრეთვე სიონის წინ მდებარე სამტვეროს ტყესა და საზოგადოდ ისე ემზადებოდენ, თუ ბედი უკუღმა დაუბრუნდებოდათ, ძვირად დაესვათ თავიანთი დამარცხება.

მართს ბნელა ღამეს, როდესაც კაცი თვალთან მიტანილს თითსაც-კი ვერ გააჩევიდა; სამტვეროს თავში მოისმა წყნარი ხმაურობა რამდენიმე მომავალი კაცისა. ისინი მოუახლოვდენ იმ ადგილს, სადაც ბილიკი ტყეში შედიოდა, მაგრამ ერთბაშად იძულებულნი იქმნენ შემდგარიყენენ, რადგანაც გაიგონეს რამდენიმე კაცის ხმა.

— შინა? შესდგეს, თუ თავი ებრალებდა.

ამ სიტყვებთან ერთად მომავალთ იგრძნეს, რომ მათ მკერდებს თოფის ტუჩები შეეხოთ.

ისინი შესდგნენ.

— შინა ხართ? — იკითხა ისევ იმ უცნობმა, რომელიც პირველში გამოვლანარაკა.

— ჩვენი: შინილი სამების ყმები, — იყო პასუხი.

ღღეს გარემოება, ცოტა არ იყოს, იცვლება და ეწყობა ისე, რომ მისცეს მომზადება იმათ, ვისთვისაც სწავლას და აღზრდას თითქმის ყველა სხვა სიკეთე მიუნიჭებია...

მკითხველებს ესომებათ ამას წინადა ჩვენს გაზეთში მოხსენებული გარემოება, რომ ხარკოვის უნივერსიტეტმა მომართა „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ თხოვნით, გაუგზავნოს იქაურს ქართველ მოსწავლე სტუდენტობას ქართული წიგნები, რათა მან სამშობლო ლიტერატურას თვალ-ყური ადევნოს და შესანიშნავი ქმნულებანი თავის ღვიძლი ლიტერატურისა შეითვისოს და შეისწავლოსო.

„მძულელები ცხოვრებად რამდენიმე წლობით სამშობლოს გარეშე, სწერს რექტორი ხარკოვის უნივერსიტეტისა, აქაურ ქართველ სტუდენტებს (25 კაცი) მომეტებულ ნაწილად არ შეუძლიანთ ისარგებლონ საკუთარი ღვიძლი ლიტერატურით, რადგან ხარკოვში ქართული წიგნები არც კერძო ბიბლიოთეკებში, არც უნივერსიტეტისაში არ მოიპოვებია...“

ჩემს მოვალეობად ესთვლი — ათავეებს რექტორი თავის ქალაქს — დაესძინო, რომ უნივერსიტეტის მმართველობა გულ-წრფელის მადლობით

— სად მიხვალთ?

— ბოჩასთან.

— საიდან მოდიხართ? — უშიშრად ეპასუხებოდა ერთი მომავალთაგანი, რომელმაც დაუმატა: — ონისე შენ არა ხარ?

— ჰო, მე ვარ, — უპასუხა ონისემ და პირის-სახის ახლო მიტანით ჩაკვირდა უცნობს, — ძჰუ, ველარ გიცან, მოლოკაუ!... მოხვედ მშვიდობით.

— მშვიდობა მოგცა შუალმა, — უპასუხა ახლად მოსულმა და დაუმატა: — მოჩა სადაა, იმისი ნახვა გვესწრადის.

— იარეთ, — მიუგო პასუხად ონისემ და გაუძღვა წინ.

მოლოკე იყო ერთი იმ შუა-კაცთაგანი, რომელნიც მთიულეთთან იყვნენ გაგზავნილნი და ყოველი მონხვევ გულის თრთოლით მოელოდა მათს დაბრუნებას.

რასაკვირველია, ონისესაც გულით უნდოდა შეეტყო, რა პასუხი მისცეს მთიულეთმა, მოუხდებოდა დამოყვრებულ ხალხთან ჩხუბი, თუ მშვიდობიანად მოშორდებოდენ ერთმანეთს, მაგრამ, რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო საიდუმლოება არ გამოაშკარებულიყო, — კითხვას ვერც-კი ჰქნებოდა. იმას არც-კი შეუძინებია, რომ ამ გამოაკითხვის სურვილი ჰქონდა და

მიიღებს „საზოგადოების“ შემოწირულობას, რომლითაც შეძლება მიეცეთ ქართველ სტუდენტებს თვალყური ადევნონ თავის ღვიძლი ლიტერატურის საუკეთესო ქმნულებათა.

„ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ თითქმის ერთ-ხმად დაუწყვეტია გაგზავნოს უნივერსიტეტს ყოველი ქართული წიგნი და გამოცემა, რომელიც კი იპოვება არა თუ თბილისში, არამედ თბილისის გარეშეც\*) და არა თუ ისინი, რომელნიც ღღეს უკვე დაბეჭდილნი არიან, არამედ ისინიც, რომელნიც იბეჭდებიან ღღეს და რომელნიც შემდეგ დაიბეჭდებიან ეს უკანასკნელნი დაბეჭდვისავე უმაღლეს საზოგადოების გადაწყვეტილების ძალით მაშინვე უნდა იქმნან გაგზავნილნი.

ამავე მაგალითს, რასაკვირველია, მიჰბაძევენ სხვა უნივერსიტეტებიც და ის მაღალი სასწავლებელნი, სადაც ათი და ოცი ქართველი სტუდენტი მაინც ირიცხება. და ამ სახით ყოველ-სწავლას უნდა ექნებოდეს სრული თითქმის მთელი ბიბლიოთე-

\*) მაგალითად, „ქართლის ცხოვრება“, რომელიც მხოლოდ ჰეტეროგრაფი მოიპოვება, განუშტის გეოგრაფია და სხვ.

## „დროების“ ჭკელტონი, სექტ. 29-ს

ხმების ბარჩი  
გოჩა.  
(მოთხრობა\*)  
XIV

რადგანაც გოჩას ხვეის დასაცველად მეტად ბევრი ხალხი სჭირდებოდა, ამისათვის ხვეის ბერმა გასცა განკარგულება, ვისაც ხვეში იარაღის ტარება შეეძლებოდა, ყველა ბრძოლის ველზედ გამოსულიყო. ხოლო რათა დედაკაცებიც უსაქმოდ არ დაჩენილიყვნენ ამ საერთო საქმეში, ვალად დაედოთ, — მთავიდან, სადაც ცხვარი საწველად ედგათ, ჯარისთვის ყველი, ერბო და რძე ექნადათ. პური კი ყველას თავ-თავიანთ სახლიდან უნდა მოსვლოდა.

ამ გვარად მოზიდული ხორაკი ყველას თანაწორად ეძლეოდა, თუმცა მიმღებთ შორის ისეთნიც ვერყნენ, რომელთაც საკუთარი ცხვარი სულაც არა ჰქონდათ.

ტყევა საკმარისი ჩამოჰქონდათ „ხლიდან“, გვარჯილას ჰკრეფდნენ შიგვე სოფელს სიონში გამოქვაბულს კლდე-

\*) იხილეთ „დროების“ № 205.





კა ქართულის ლიტერატურის შესასწავლელად.

მს ვრცელი ებიზიდი და ამბავი იმიტომ ჩაუტოეთ ამ ჟამად ჩვენს წერილში, რომ დაგვეხსენებინა მკითხველისათვის, შეიძლება, თუ არა ახლა მაინც შეივსოს ის ნაკლი, რომელიც განვითარებულს ნაწილს საზოგადოებისას თავის უარარაობისა და უსაქმურობის საბუთად მოჰქონდა. შეიძლება, თუ არა ამის შემდეგაც ვაიმართლოს მან თავი თავის ენისა, ისტორიისა, ლიტერატურისა და ზნეჩვეულებათა უცოდინარობისათვის, იმ საბუთით, რომ მას არ უსწავლია ყოველივე ესე ახალგაზღვრებაშივე. შეიძლება, თუ არა ახლა მაინც მოზარდმა ახალგაზღვრებამ, რომელიც რუსეთში უმალდეს სწავლას იღებს, ცოტად თუ ბევრად შეივსოს ის ნაკლი, რომელიც მას შემდგომი აქვს დღევანდელის სწავლისა და აღზარდის ვითარებისა გამო.

რასაკვირველია, ბიბლიოთეკების დაარსება თითქმის რუსეთის ყოველ უნივერსიტეტთან წერა-კითხვის საზოგადოებისათვის, მხელი იქნება და მოითხოვს არა მცირედს საშუალებას, მაგრამ ნუ თუ ამ გვარის ხარჯისათვის მან თავისი საშუალება უნდა დაიშუროს. მართალია, საზოგადოებისა წევრი ისე გულგრილი არიან, რომ საწევრო ფულის შეტანითაც კი ეძინებოდნენ დაეხმარონ ამ სასარგებლო იაფისებულობას: მართალია, ჩვენი შეძლებული საზოგადოება, სამღვდელთა და ერის კაცი, იშურებენ ფულს იმ გვარი საზოგადოებრივ

— ბეჩაო, ჩემო თაო! — ამჯერად წამოიძახა მისი და მედიდურად დაუმატა: — ქულები არ გვბუთავს! მშვილობით, — ოღონდ თავი დაუკრა და გამოვიდა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — დალოცეს ახლად მოსულებმა და მამაკაცი, თუმცა ხმა აღარ გასცა, მაგრამ ისეთი სიყვარულით გადადგნა თვალი, იმდენი სიამოვნება გამოიხატებოდა იმის სახე ედ შევილის პასუხის დროს, რომ ყველა ამკარად დაინახავდა, რომ მოხუცს მზე და მთვარე მისივედ ამოსდიოდა.

XV

მიღრე მოხვედნი სამხარისში იყვნენ და თავიანთ ადგილებს ამაგრებდნენ, ნუგზარ მრისთავიც არ იყო გულ-ხელ დაკრეფილი, და ყოველის ღონისძიებით ცდილობდა თავისი ჯარი გაემრავლებინა, რათა აუარებელის ზიცხვით ხეცს თავს დასხმობდა და ერთბაშად ძლიერის შეგვეით მოემტკიცებინა მოხვედთა სიკვარვე.

ის არ ეწყარვილდებოდა რსების და მთიულეების უმრავლესის ჯარით, იმას უნდოდა საქმეში ჩაერია ხანდასხველნი, ქართლელნი და გულამაყრელები, რომლებთანაც კაცები გვეგზავნა და დღე-ღამე ჰასუხს მოელოდა. ამათ გარდა, ეს მოელოდა კიდევ ლეკებს, რომელთა დაპირებაც დიდად აიმედებდა.

სათვის, როგორც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, მაგრამ არა გვერდია, ეს დიდხანს გაგრძელდეს ასე, დღეს თუ ხვალ გრძობაში მოვლენ საზოგადოებისა წევრი, გამოირჩევიან ცნობიერობას და შეეწყვიან „საზოგადოებას“ თავის მალაღობის და ნიშნულების შესრულებისათვის.

იმედი ექონიოთ, რომ ბიბლიოთეკების დაარსება უნივერსიტეტებთან გამოათხილებს ჩვენს მოზარდთა ბასას, მოაკიდინებს ხელს სამშობლო ენისა და ლიტერატურის შესწავლისათვის, რომელიც მას მისცემს ძალას, სიმტკიცეს და ბუნებრივს ნიადაგზედ დააყენებს მის გონებრივსა და ხეობრივს ზრდასა და განვითარებას სამშობლოს გარეშე და სამშობლო ძველის მოზარებით.

შინაური შრომისა

— ბუნებრივად საღამოს სურათებია ნის „მეფხვის ტყაოსნის“ გამომცემლის ბნ. მ. მარტოელი შევილის წინადადებით შემდგარა კომისია, რომელმაც უნდა განავსოს როგორც ამ წიგნის დაბეჭდვისა და შიხის მიერ, სურათების დახატვის საქმე, ისე თვით ამ ორის წლის წინად გასწორებული „მეფხვის ტყაოსნის“ ტექსტის აღდგენაც. როგორც ვიცით, „მეფხვის ტყაოსნის“ გამაწორებელი კომისიამ შეასრულა მხოლოდ ერთი ნაწილი თავის შრომისა, ნაწილი მცირე და მარტივი. ახლა ახალს კომისიას ვალად ედება უფრო ძნელი, რთული

ნუგზარ ამ გვარს საქმეებში გამოცდილი იყო, კარგად იცნობდა ხეცას. თავს არ აიშლებდა, რომ საქმე სახუმროდ გათავებულყოფი, ის ვაჟკაცი და შეუბრალებელი იყო, სისხლის ღვრა მისთვის დროს გასატარებელი მეგლიში, მაგრამ მას მოჩანდა ეფიქრობოდა, რადგანაც ამის მოზარების და გამოცდილების სახელიც მოეღოს მთაში გავარდნილი იყო.

მრთს დილით, გარეყრავნედ მთიულეების ურდოში შევიდა ტანად მოსული და კარგად ჩასხმული ვილაცა წვერიანი კაცი. იმის ჯაჭვის პერანგი, თვლებით და მიძიმეოქროთი შეჭედილი ხმალი, ოქროთივე ნაჭედი ჩაჩქანი ამტკიცებდა, რომ ის უბრალო მთიულეებს არ ეკუთვნოდა და რომელიმე გამოჩენილი გვარისა უნდა ყოფილიყო. იმის ტლანქის პირისახის ნაკვთები, სქელი და რაოდენადმე გადმობრუნებულნი ტუჩები, მსხვილი მოგძელო ცხვირი, განიერის ნესტოებით და პატარა, ქუთუთოებ შემუშვებული, თვალები ამტკიცებდნენ მის შეუბრალებლობას და დაუდგრომელს მხნე ხასიათს. ხშირი და გავრთებული შავი წარბები, ნაოჭად შეკრულს შუბლთან ერთად უფრო მომეტებულს სიმკაცრის ბეჭედს ასვამდნენ იმის ისეც უსიამოვნო სახეს და რამდენიმე ხაზი, რომელიც თვალის კილოებიდან სხვადასხვა მხა-

და დიდად საგონებელი საქმე. რაც პირველმა კომისიამ ვარიანტები აღნიშნა, ახლა ახალმა უნდა განიხილოს, უნდა არჩევანში შევიდეს და გამოარჩიოს ის წარბა, ის სიტყვა, ის გამარტივება, რომელიც, იმის აზრით, უფრო ეკუთვნის რუსთაველის კალამს. საქმე, როგორც ჰხედავთ, დიდად და დიდად მიძიმეა.

ამას გარდა, კომისიის ვალია გადათარგმნოს წარსულს ენაზედ ბ. ზარისთვის ის ღლაგები „მეფხვის ტყაოსნისა“, რომელნიც შეიცავენ აღწერას ზიხის მიერ დასახატად განზრახული სურათებისას.

თუ მივიღებთ კიდევ მხედველობაში, რომ კომისიისავე ვალია ყოველივე მიწერ-მოწერა აწარმოოს ამ საქმის შესახებ, შეუწყვეთოს და გამოიწეროს ახალი შრიფტი, სათაური ასოები, ცალკე მოხარობი ნახატები, ენიეცკები და საორნამენტო კუთვნილებანი, როგორც დაბეჭდვა თვით ზიხის სურათებისა ან პეტერბურგის და რომელსამე სამშღვარ-გარეთის ლიტოგრაფიაში, ჩვენ დავრწმუნდებით, რომ კომისიას არა მცირე შრომა და ჯაფა მოელოს „მეფხვის ტყაოსნის“ დაბეჭდვის დროს.

კომისიაში აურჩევიათ: ი. შავჭავჭავიძე, რ. მრისთავი, დ. ბაქრაძე, ი. მეუნარგია, პ. შიკაშვილი და ივ. მაჩაბელი.

— ბუნებრივად საბოლოოდ გაუთავებოა მუთაისის წიგნის-მყიდველს ბ. მ. შილაძეს თ. ი. შავჭავჭავისთან და აკახისთან ამ უკანასკნელების

რეს შუქსავით იბნეოდნენ, ამკარად გიჩვენებდნენ, რომ ცხოვრებაში მოთმინების მიძეოლი არ უნდა ყოფილიყო. იმის მისვლასთან ერთად მთიულეების ურდო შეიძრა და უფროსი კაცები მისალმებით მიეგებნენ.

ხალხი მისვლის უმალ ქუდს უხდიდა და მდებლად თავის დაკრით ეუბნებოდა.

— ბატონს ნუგზარს გაუმარჯოს, ბატონს ნუგზარს ვახლავართ! — და ისიც სიამაპრტავით და მედიდურად ოღონდ თავის მოხრით სალამის ღირსად ძლივსა ხდიდა.

ნუგზარ მავიდა იმ ადგილს, სადაც ურდოს შუა გულში ცეცხლის პირას ნაბადი იყო დაგებული და ზედ მოიკცა. მთიულთა ჯარის უფროსნი გარს შორი-ახლო შემოეხვედნენ.

— დასხედით, სიტყვა მაქვს, — მოკლე, მაგრამ მძძანებელის კილოთი და ბოხის ხმით დაიწყო ნუგზარმა.

მთიულებმა მოიკცეს ბალახიანს ველზედ და მოთმინებით ელოდნენ, რას ეტყოდა იმ ხანებში მართლში ნათესავეების შემწევობით გამძღვარებული მრისთავი.

— ხალხო! დაიძახა ნუგზარმა და ხმაში მრისხანება დაეტყო: გულამაყრელებსა, ხანდოს-ხვევლებსა და ქართლელებს უარი შემოუთვლიათ ჩვენს დახმარებაზედ, და ვფიცავ ანაწურის ღვთის მშობელს, რომ მკაცრად გა-

სრულთა თხზულებათა გამოცემის საქმე რამდენსამე ტომად.

— მრის ჩვენის პოეტის დაუნებს და ლიტერატურულს სახელს მოსვენება არ მიუტია, როგორც ეტყობა, ზოგიერთა კომპილიაციების და დრამატულის პიესების მარგმნელებისათვის. მრთს ამისთანა ავტორს უსარგებლნია იმ შემთხვევით, რომ მისთვის ქართულის თეატრის ანტრეპრენიორს უთხოვინა ნება-რთვა პიესის წარმოდგენისათვის, რადგან უამისოდ, ახალი კანონის ძალით, პიესის წარმოდგენა არ შეიძლება და იმასაც სამაგიეროდ მოუთხოვინა ზოგმი 15 და ზოგმი 10 მ. პირველად, ხოლო შემორედა და მესამედ წარმოდგენისათვის ხუთ-ხუთი და სამ-სამი მანეთი.

მოდით და ამის შემდეგაც სთქვით, რომ ქართული მწერლობა არ აჯილდუვებს შრომასო!

— მითაწმინდობას (ზორის მძვრა, სოფ. ახალქალაქ ზემოდ) ჩვეულებრივ უშფოთოდ და უჩხუბრად არ გაუყლია. როგორც გვიამბეს, ქილაობის დროს ბ. შევილს მოხვედრია მართახი, მოქნეული წრის შესადგენად და გახაგანიერებლად თ. პ. შ. — ძის მიერ. ბ. შევილს ქილაობის გათავების შემდეგ უკმაყოფილება გამოუტყბადებია შ. — ძისთვის, ხოლო ამას პასუხად მეორედ გადაუწიხილებია მართახი. ბ. შევილს ეს ველარ მოუთმენია და დაუკრავს ხანჯალი, მაგრამ,

დაუხბდი მაგ უარისთვის, გაუფმწარებ სიკოცხლეს და მზეს დაეუბნელებ... მცელები, რომ მათ სოფლებში იმდენი ყვევილი არ გაწითლებულიყო, რამდენსაც მათის სისხლით შევლებავ, იმდენი ყოჩანი არ მოიპოვებოდეს, რამდენსაც შევად შევმოსავ... იმათ მოთავეებს ჩემის ხელით ამოველეჯ გულებს, სიამოვნებით გამოეწურავ სისხლს და ჩემი გული მაშინ დამშვიდდება, როდესაც ხელი იგრძნობს მათს უკანასკნელს ფართხალს...

აკ ნუგზარ შესდგა რაოდენსამე წამს. მისი თვალები ბოროტების ცეცხლით აინთნენ და ჩასისხლიანდნ. მსმენელთ შორის ბევრი ისეთნი იყვნენ, რომელნიც პირზედ ღიმილით სიკვდილს ათასჯერ პირ-მოცინარნი შეჰგებებოდნენ და განუწყვეტლივ ბრძოლაში გული კაქად გადაჰქცეოდთ, მაგრამ იმათაც კი ველარ შეიმავრეს თავი და ნუგზარის სიტყვებზედ რაღაცა აღშფოთებამ უსიამოვნო ქრიატელად გაუბინა სხეულში. ხალხში სრული სიჩუმე იყო, ყველას სული გაენაბა.

— მაგრამ ეგ შემდევისაა!.. მოხვედებისთვის ჩვენცა ვკმარართ... მე არ მინდოდა ბევრი ბრძოლა, ვფიქრობდი ერთბაშად გამესრისა ისინი, მაგრამ არა უშავსრა... ხმლის თითო მოქნევის მაგიერ, ოროლჯერ მოვიქნიოთ და ისეც ის იქნება... ნუღარ ვიგვიანებთ, წავიდეთ დღესვე!





ბედად, ხანჯალს მხოლოდ ტანის-  
მოსი გაუჭრია და ორივე მაჩხუბარი  
ამ გვარად ხიფათს ვადარჩენილან.

„დროების“ კორმსკონდენსია

ჭუთაისი, სექტემბრის 24-ს. ჩვე-  
ულებისამებრ, შევეუღეთ დღიურის შე-  
დგენას. „დროების“ მკითხველებს გე-  
ხსომებათ ის განცხადება ჭუთაისის  
პროგიმნაზიის ინსპექტორისა, რომელ-  
იც ატყობინებდა შეგირდების მშობ-  
ლებს, ნათესავთა და მართყნელოთ,  
რომ ყმაწვილები უნდა დააბინავენ  
საიმედო ოჯახში თვით პროგიმნაზი-  
ის მთავრობის რჩევით და ჩვენებით.  
ჩვენი სიტყვა გამართლდა (იხილეთ  
„დროება“ 155 №-ი). ამ განკარგუ-  
ლებამ გამოიწვია ბევრი პირი, რომ-  
ელნიც მოსწავლეთათვის სადგურების  
გამართვას თხოულობდნენ. პროგიმნაზი-  
ის მთავრობა ერთ გულად ეკიდება ამ  
საქმეს. ცხადია, ვისაც სადგურების  
გამართვა ჰსურს, კოტაოდენი მანც  
უნდა ესმოდეს პედაგოგიისა და ჰი-  
გიენისა. სადგურთა დაწესების ღვა-  
აზრი არის, როგორც ზედა-მხედვე-  
ლობა ყმაწვილების ზნეობაზე და კო-  
ფორმაციაზე, ეგრეთვე ზრუნვა მათხ-  
მრთელობაზე. თუ თითონ ყმაწვი-  
ლების სადგურის დამაარსებელი უკო-  
დინარია ამ გვარ რამეში, ვალდებულია  
სხვა პირი მანც იმოფროს ამხანაგად და  
პირი, მკოდნე და განვითარებული.  
დიდი კოდვაა, კაცმა იტვირთოს იმ  
გვარი მძიმე საქმე, როგორც არის  
ყმაწვილების მოვლა, და მოვლისა-კი

არა ესმოდეს-რა. ამ გვარი პირი პასუხს  
აგებს არა მხოლოდ მშობლებს, არამედ  
მთელ საზოგადოებასაც. როგორც მშობ-  
ლებისთვის სასარგებლო და სასამოენოა  
კარგი შეილი, არა ნაკლებ საზოგა-  
დოებისათვის საჭიროა კარგი წვერი  
ქვეყნის წარმატებისა და კეთილ-დღე-  
ობისათვის.

პირთი წელიწადია, ვგონებ, ჭუთა-  
ისის ხელოვნებს მიენიჭათ უფლება  
თვით-მმართველობისა და ჭუთაისში  
დაარსდა სახელოსნო გამგეობა. ჭუ-  
თაისის ხელოსნები შეადგენენ 26 ამ-  
ქარს. ჩვენ ვნახეთ ანგარიში ჭუთაი-  
სის სახელოსნო გამგეობის შემოსავალ-  
განაჯლისა 1883-ს წლის, აგვისტოს  
15-დგან, ვიდრე აგვისტოს 15-მდე  
1884 წლისა. შემოსავალი არის  
2564 მან. 60 კაპ., განავალი 2477  
მან. 55 კაპ. ამ მოკლე ხანში იქნე-  
ბა ხელოსნების თავის არჩევა, რადგა-  
ნაც ძველს ვადა უთავდება (ერთის  
წლის ვადით იყო არჩეული). იმედი  
გვაქვს, ხელოსნები არჩევის დროს არ  
იმოქმედებენ იმ ნაირად, როგორც  
ამ შემთხვევაში ხშირად მიღებულია  
ჩვენში. მიდგომა, მისკიდვა, პირად-  
ობა და ყოველივე ამ გვარი ზნეობის  
დამამცირებელი და საზოგადო საქმის  
მავნებელი რამე ქუთათურმა ხელო-  
სნებმა უნდა უკუ-აგდონ და დაანა-  
ხონ ქვეყანას, რომ მათ სინიღისაწად  
შეუძლიანთ ისარგებლონ იმ უფლე-  
ბით, რომელთაც მიანიჭა მათ მთავ-  
რობამ.

შველა სასწავლოებლებში ვგზამენები  
დასრულდა. რაღა თქმა უნდა, ბევრი  
დარჩა სკოლაში შეუსვლელი უვაკან-

და, უკველია, ის შენზედ გულადიც  
იქნება.

მთიული, რომელიც მოთმინებით  
ვლოდა ნუგზარის სიტყვების გათავე-  
ბას, ერთბაშად გაიმართა წელში და  
მხოლოდ ხმის მცირედს კანკალზედ  
შეატყობდით, რომ საწყენი სიტყვები  
გულამდის ჩასწლომოდა.

— ჩვენი თავი, ნუგზარაუ, მეფემ  
შენ ჩაგაბარა... შენი სახელი დღეს  
მეფის სახელია და იცი, რომ იმის სა-  
ხელი გიფარავს, მთიული ქართველთ  
მეფის წინ ხელს ვერ გასძრავს? რად  
მლანძღავ?.. ჩვენგან არც ერთი არ  
წამოვა, არც ვინ არ მოგეკომავება...  
რაი გვაქვს ვასაყოფი მოხვედრითან?..  
— არა ხალხო! მიუბრუნდა მთიული და-  
ნარჩენებს.

— მართალია, მართალია, ლომისის  
მადლობა! — გრგინვასავით გაიზინა  
ხალხის ხმამ. ამის ნახვამდე ნუგზარი  
რაოდენადმე შეკრთა და აირია, რად-  
განაც ამ გვარად საქმის დატრიალების  
არ მოელოდა. მაგრამ, როგორც გა-  
მოცდილმა კაცმა, თავი მალე შეიკა-  
ვა და უფრო დაწყნარებით ჰქითხა:

— მაშ სიტყვა რად მომეცით, რა-  
და მპირდებოდით!

— შენ გვითხარ, რომ პირ იქი-  
თელს მსეთზედ უნდა გავილაშქრო-  
თო, გვითხარ, რომ ჩვენს მეფეს ეწი-  
ნაღმდებებინო, მოგვატყუე, რომ

სიობის გამო. მეტადრე ბევრი ყმაწვი-  
ლები მისკდა საქალო უფასო სკო-  
ლას. დღეს ამ სკოლაში ორასამდე  
ყმაწვილი ქალი სწავლობს. ჩვენ გვა-  
მინებს ამ სკოლის მომავალი. თავად  
ანაურობამ მოუხპო შემწეობა. ადვი-  
ლად შეიძლება მოხდეს, რომ უსაშუ-  
ალობის გამო რომელიმე კლასი ან  
განყოფილება დაიხუროს. დიდი ზრუნ-  
ვაა საჭირო ამ სკოლაზე, როგორც  
იმათთვის, ვისაც შეეხება ეს საქმე,  
ეგრეთვე საზოგადოებისათვისაც. ბავი-  
მეორებ — ამ სკოლაზე დიდი ყურადღე-  
ბა უნდა იქმნას მიქცეული და თუმცა  
დღეს ზრუნვას მოკლებული არ არის  
— მანც ვამბობთ გასაფრთხილებლად  
და საზოგადოების საგულისხმიეროდ-  
მინ იცის, ვგებ, ამ ღარიბის სკოლის  
ქალებმა, რომელნიც აქ იზრდებიან,  
უფრო მეტი სარგებლობა მოუტანონ  
საზოგადოებას, ვიდრე ჩრანტუხული  
ენით მოტიკტიკეთ და დიდი ჭრახე-  
ბით ალტურვილი ქალბატონებმა. დი-  
ა! ეს ადვილი შესაძლებელია.

„ნოვე მბოზრენი“ გვატყობი-  
ნებს, რომ ჭუთაისის ბუღვარზე, ზედ  
შუა-დღის გულზე მკვლელობა მომ-  
ხდარა. მიღაც ახალ-გაზდა ბ. მოუ-  
კლავს ჭუთაისის მზარის უფროსის  
თანამემწე. ეს ამბავი „დროებაშიც“  
გადაბეჭდა 206-ში. რომ ეს წავიკით-  
ხეთ, ყველამ პირი დავადეთ. დღე და  
ღამ ბუღვარზე დავდივართ და არც  
გინახავს და არც გავგვიგონია ამ შემ-  
თხვევაზე არაფერი. ტყუილი გამიგო-  
ნია, მაგრამ ასე მოკლე ფეხიანი კი  
არა.

ამ თვის 19-ს აქ მოზრძანდა ძავეკა-  
სიის მთავარ-მართველი თავადი ღონ-  
მოხვევებს ოსების მხარე უჭირავსთო  
და იმად წამოაყვეით...

— მართალი არის... მოხვევებს  
ოსების მხარე უჭირავსთ, უნდა გადა-  
ვანდებინოთ.

— ტყუილია, ტყუილი? — ერთხმად  
იგრილა ხალხმა.

ნუგზარ სიბრახით ტუჩებს იკვნე-  
ტავდა და გულით უნდოდა შეეტყო,  
ვინ შეატყობინა მთიულებს ეს ამ-  
ბავი.

— ვინ გითხრათ, რომ ტყუილია? —  
ერთბაშად წამოიძახა ნუგზარმა, რომ-  
ელიც იმედობდა, რომ მოლაღატის  
სახელს გაიგონებდა.

— თავად გვითხრეს, თავად! მოის-  
მა რამდენიმე კაცის ხმა.

— და თქვენც დაუჯერეთ?! ჰა, ჰა,  
ჰა, ჰა! — ბოროტად გაიხარხარა ნუგ-  
ზარმა.

— რად არ უნდა დაგვეჯერებინა?

— იმიტომ, რომ თქვენი შეშინე-  
ბით და უნდათ თავიდან მოგიშორონ-

— ტყუილია, ტყუილი! — განიმეორა  
ხალხმა საერთოდ.

ნუგზარ მთლად გალოჯრდა სიბ-  
რახისგან, რადგანაც ამ გვარ პასუხს  
ის დაჩვეული არ იყო. იმ წუთ-  
ში იმას რომ შესძებოდა, იქვე ყველას  
გასრესდა, განაღდურებდა, მტერად  
აქცევდა და ქვეყანაზედ გაჰფანტავდა,  
მაგრამ ისეთს მდგომარეობაში იყო,

დუკოე - ძორასკოვი... და საქალო გიმნაზიები და ბელათის  
მონასტერი. შესამე დღეს გაემგზავრა  
ბათუმისაკენ. თავადს ახლდა თვისი  
მეუღლეც, რომელმაც ჭუთაისის საქა-  
ლო სასწავლებლები დაათვალიერა და  
დაახლოებით გაიცნო.

ამითი ვათავებ ამ თვის დღიურს.  
სხვა შესამჩნევი რამ ამ თვეში არაფე-  
რი მომხდარა. შორი, ათას-გვარი  
ცილის-წამება, სხვა-და-სხვა ინტრიგე-  
ბი კი ურტიცი ვახლავთ, მაგრამ მთ-  
ზედ ლაპარაკი არა ღირს, კიდევ რომ  
ღირდეს — მოგვხსენებათ, ქართული  
ანდაზა: „ზოგჯერ თქმა სჯობს არა  
თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაზიდე-  
ბისო.“

სველგრაძები

(„ჩრდილოეთის სასაგენტოსი“)

სექტემბრის 27-ს  
პარეში. ხმებია, რომ ნოემბერ-  
ში შეიგრიბება ბერლინში ხალხ-  
თა მორებრივი კონაქერენცია იმ  
საქმის გადასაწყვეტად, რომელიც  
აჭრის დასავლეთს შეეხება.

ტონკინში ჩინელების დამარცხე-  
ბის ამბავი ოაჩიკიალურად მტკიც-  
დება; ჩინელებს ათასი კაცი დაჰ-  
კლებიათ; გაგზავნილია რაზმი,  
რომ ჩინელებს სამზღვრისაკენ გზა  
შეუკრან.

ქაბაენი — (სიცილიაში). გუშინ  
აქ გრიგალი მშვინვარება და ბე-

რომ ნება უნებლიედ თავი უნდა შეე-  
კაებინა.

— მაშ იმითი სიტყვა გჯერათ? —  
იკითხა ნუგზარმა.

— ბეჯერა, ლომისის მადლობა! —  
მისცა რამდენიმე კაცმა პასუხი: —  
გვეჯერა იმად, რომ მოხვევის კაცები  
იყვნენ, შემოგვევიცეს და ჭდე დას-  
დეს... ჰდეს — საით ელაღატების! არა,  
ხალხო?

— არ ელაღატების, არა!... შავი-  
დეთ, დაბრუნდეთ შინა! — შეროდენ  
მთიულები, რომელნიც აიშალნენ,  
აირივნენ და თავიანთ ბინას ხელი  
წამოავლეს.

ძარგა ხანს გრძელდებოდა ქლავილ-  
ელუილი და ჩოქოლი, რომელიც  
მხოლოდ მაშინ შესწყდა, როდესაც  
მთიულები პირველს ბეგობას გადაე-  
ფარნენ. დაცარიელებულს მინდორ-  
ზედ მარტო ერთი კაცი-ლა დარჩა.  
იმისი დაღვრემილი სახე ღრმა ფიქრს  
წავლო და მთლად გაფითრებულიყო.

ძარგა ხანმა გაიარა, რომ ეს კაცი  
ასე გაქვავებული იდგა, თითქოს ვანძ-  
რევის თავიც აღარა ჰქონდა. მერე  
ერთბაშად აიქნია თავი, დააღრჭიალა  
კბილები და მუქარით წამოიძახა: —  
თქვენი ფეხი დამკრით, თუ დღევან-  
დელი დღისთვის არ გადაგინადეთ!

ს. მოხსუბარაძე.  
(გაგრძელება)



